№ 69. 28 მარტი, ოთხშაბათი. 1866—1884 28 მარტი, ოთხშაბათი. № 69.

«დროების» რედაქცია —სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში რედაქციაშივე, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით—8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ, 8 თვით—7 მან.; 7 თვით—6 მ.; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვ.—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

## „დროების" ფასი პირველის აპრილიდამ წლის დამლევამდე 7 მანათი და 50 კაპ.

**არწრუნის თეატრი.**

შაბათს 31 მარტს

ბ. ა. მოხევისაგან გამართული იქნება

I

**კონცერტი,**

რომელზედაც სხვათა შორის იმღერებენ ქართულს სახალხო ხმებს და თავ. აკაკი წერეთელი უშუალოდ წაიკითხავს «თორნიკე ერისთავს».

II

ცოცხალი სურათები

**ჩვენის ისტორიულის ცხოვრებიდამ.**

სხვათა შორის ამ სურათებში იქნება «ქეთევან დედოფალი კოცონზედ», რომელსაც აგვირგვინებს თამარ დედოფალი და წმიდა ნინო.

საღამო გათავდება ლეკურით.

დასაწყისი 8 საათზედ.

### ერთი სასიამოვნო ამბავი.

თბილისი, 28 მარტს.

გასჭრა სამეურნეო საზოგადოების სჯამ, ხალხის საერთო სურვილმა, ხმამ ადგილობრივი მწერლობისამ და მამულის პატრონებს მიეცათ ნება თავიანთ ჭაჭა-თხლისაგან უბაჟოდ არყის ხდისა თავიანთვე სახმარებლად. ამ განკარგულებას ორგვარი მნიშვნელობა აქვს: ეკონომიურად იგი დიდს შეღავათს აძლევს სოფლელებს, რადგან ამას იქით სოფლის შეუძლებელი ხალხი იმ გაჭირებაში აღარ იქნება, რომ თავისი მოყვანილი ჭაჭა-თხლე ან ლორების საჭმელად გაჰხადოს, ან რომელსამე «სოფლის-ქიმიას» მიჰყიდოს მეათედ და მეოცედ ფასად. მაგრამ ეკონომიური მნიშვნელობის გარდა ამ განკარგულებასა აქვს მეორე უაღრესი ზნეობრივი მნიშვნელობა:

რაც უნდა ფთხილად და სინიდისიანად აესრულებინათ აქციზის მოხელეებს თავიანთი მოვალეობა, მაინც ვერ დაიკვეხებდენ, რომ ჩუმად და უბაჟოდ არყის ხდა მოესპოთ. ამასთანა ყოველ-დღიური საჭიროება რეგლამენტაციებით არ შეისაზღვრება და ხალხი ათას გვარ ხრიკებს იგონებს, რომ ზედამხედველის სასტიკ თვალს როგორმე გაუსხლტეს და მასუკან თვითონვე სასაცილოდ აიგდოს იგი. ეს არ გამოუვა ხელიდამ საწყალ, ბეჩავ ხალხს და უფრო ადვილად მოახერხებს წყალსა და ცეცხლში გამოფოლადებული «სოფლის-ქიმია». აქციზის დროსაც ჩუმად ხდა არ იყო მოსპობილი და ეს კონტრაბანდა ავნებდა მხოლოდ შეუძლებელ ხალხს, შეძლებულებისათვის კი იქნება უფრო სასარგებლოც იყო.

ბაჟის მოსპობასთან ერთად ეს იარაღი ზნეობის გარყვნისა გაჩლუნგდება და შეუძლებელ გლეხსაც მიეცემა საშუალება შესდგას საარაყე ქვაბი ცეცხლზედ, მოუჯდეს გვერდით და არხეინად ელოდებოდეს თავის სანუკვარი სასმლის გამოხდასა. მას აღარ ექნება შიში და კრძალვა ყოველი გამვლელ-გამომვლელი სერთუკ-ჩაცმულისა, ყოველი კოკარდიანი მოხელე მისთვის საფთხობელად არ გადაიქცევა.

ეს ერთი მნიშვნელობაა და დიდი მნიშვნელობაც. მეორე არა ნაკლები ზნეობრივი მნიშვნელობა ის არის, რომ ამ განკარგულებით სოფლებში სამიკიტნოებსა და დუქნებს ფრთები შეეკვეცებათ. მართლაც, ეხლა სად უნდა დალიოს დალალულ-დაქანცულმა, ან სიცივეში სამუშაოდ გამზადებულმა გლეხმა ერთი რიუმკა არაყი. შინ რაკი არა აქვს, დუქანს უნდა მიმართოს და დუქანში, უეჭველია, სხვებიც დახვდებიან, «კამპანიას» გაუწევენ და ამით თან მუშაობას მოაცდენენ, თან ოჯახს მოაშორებენ, თან შეაჩვევენ იმ საზიზღარს და გულ-მუცლის ამომწვავ სენსა, რომელსაც არყით ლოთობა ჰქვიან.

ახალი განკარგულების შემდეგ კი თითქმის ყოველ გლეხს შინ ექნება «ერთი ბოთლა არაყი» სამუშაოზე გასამხნევებლად და აღარც ოჯახის მოშორება დასჭირდება. «სოფლის-ქიმია» მედუქნეები ისე ველარ იპარპაშებენ უიმათოდაც დაცარიელებულ სოფლელების ჯიბეებზედ და ხალხმაც იქნება სალაყბოდ დუქნის მაგივრად სხვა უფრო სუფთა და უფრო სასიამოვნო ალაგი მონახოს.

ჩვენ არ ვიცით ჯერ კიდევ, თუ როგორ გადაწყდა საქმე ჩვენს მთებში აქციზის სრულებით მოსპობისა; მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ, მიიღებენ რა მხედველობაში მთების უნაყოფო და გაყინულს ბუნებას, ამ საქმის გამგებელნი დაადგებიან იმავე აზრსა, რა აზრსაც დაადგა ჩვენი სამეურნეო საზოგადოება, ესე იგი, მოსპობენ სრულიად აქციზს იმ მიუდგომელ მთებში, სადაც არაყი ხშირად ერთად ერთი გამათბობელი და მასიამოვნებელი საშუალებაა.

### შინაური ქრონიკა

სამშაბათს, 26 მარტს, ღამის თერთმეტ საათზედ, დაბოლოვდა თბილისის მაზრის თავად-აზნაურთა კრება. კრებამ გასინჯა კომისიისაგან წარმოდგენილი სიები მეოთხე კატეგორიისაც. კომისიის ყველა სიებში მოქცეულია **579** წევრი; ამათ შორის მხოლოდ ორმოცმა თუ გამოაცხადა უკმაყოფილება. ყოველი ამ გვარი შემთხვევა კრებამ ცალკე გასინჯა, ზოგი სრულებით გაანთავისუფლა გარდასახადისაგან, ზოგი დაბლა ჩამოიყვანა, ზოგი უფრო მაღალ კატეგორიაში მოაქცია.

იმ პირთა შორის, რომელნიც ცდილობდენ სრულებით განთავისუფლებას, მიიქცია ყურადღება მილიციის პრაპორშჩიკად ნამყოფმა ბ. დ. პ. არეშოვმა, რომელიც არათუ კისრულობდა რამე გარდასახადს, არამედ სთხოვდა საზოგადოებას, «როგორც კეთილ-განწყობილ წოდებას», იზრუნოს მისთვის სიკვდილამდე და სიკვდილის შემდეგ მის ცოლზედაც; რომ იმასა აქვს მხოლოდ ორ-«ეტაჟიანი» სახლი, რომელშიაც სამი ოთახის

«დროების» ფელეტონი, 28 მარტი.

### მე და სოლო.

(სურათი სოფლის ცხოვრებიდგან).

ბოლოს, როგორც იყო, მე და სოლო დავუახლოვდით ერთმანეთს... მე სოლოს არაფერს ვუმალავდი, სოლო—მე... ერთმანეთის «მესაიდუმლენი» გავხდით და როგორც მეგობრები მეგობრულად ვინახავდით ერთმანეთის გულის-პასუხს და, ასე გასინჯე, ერთმანეთის «ჯეელობის» თავ-გადასავალსაც კი...

გაზომილიცა გვქონდა მოქმედების ასპარეზი: სოლოს არ შეეძლო უჩემოდ სოფლის საქმეში გარევა და მე არ შემეძლო უ-სოლოოდ ფეხის გადადგმა.

«სუყველა საქმეს აწონ-დაწონა უნდა, დაფიქრება»,—მოქმედების საფუძვლად მე და სოლოს ეს სიტყვები გვქონდა და არაფერ საქმეში არ გავერეოდით, მინამ საქმის სიმძიმეს და ჩვენს გონებით ძალას ერთმანეთს არ შევატოლებდით.

—სოლო! შენისთანა სანდო კაცს ვილას ამოვირჩევთ, ბევრიც რომ ვეძებოთ ჩვენს «უკაცო» სოფელში,—შენ უნდა მიგვეგზავნო, ბიჭო, «ნაჩალნიკთან» და აცნობო ჩვენი გაჭირება... აგება, რაიმე მოწყალება გამოგვივიდეს,—ეტყოდენ ხოლმე სოლოს სკოლასთან შეკრებილი გლეხები.

—ნეტავ კი, შაიძლო რამე და ჩემი თავი სოფლის სანაცვალო იყვეს... წავალ, შევეკითხები ჩვენს ოსტატსაც და როგორც ვამჯობინებთ, ისე დავიჭიროთ საქმე. სოლოს ჩვეულებრივი პასუხი ეს იყო და მაშინვე ჩემკენ გამოექანებოდა ხოლმე მოსალაპარაკებლად.

×

სოლო იყო **25** წლის კარგი წამოსადეგი გლეხი, მე—**22** წლის ქაბუკი. სოლოს ბრწყინვალე თვალები და გამჭრიახი სახის მეტყველება ცხადად ამტკიცებდენ მის ბუნებით ნიჭს და გულის სიღრმეს... ჩემი გარეგნობა კი ერთივე შეხედვით არაფერს შთაბეჭდილებას არ სახავდა დამკვირვებელში: მსხვილი სახე, დიდრონი თვალები და მოუხეშავი მიხვრა-მოხვრა—აი ეს იყო ჩემი გარეგანი ბუნების გამომხატველობა... სოლო იყო მეტის-მეტად აჩქარებული კაცი, მე—დინჯი, საქმის დამკვირვებელი,—ამისთვისაც იყო, რომ სოლო იწყობდა საქმეს—და არ დააბოლოვებდა კი, მე კი ძნელად თუ მოვკიდებდი საქმეს ხელს და თუ მოვკიდებდი—ბოლოსაც მივადევნებდი ხოლმე. ერთი სიტყვით მე და სოლოს შუა გარეგანს ბუნებაში ძალიან დიდი გარჩევა იყო და ჩვენი მეგობრული განწყობილობა ერთივე შეხედვით შეუძლებელი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ჩვენი სულის თვისტომობა, ლტოლვილება და სიქველე გვაერთებდა ერთმანეთთან, გვამეგობრებდა. მე ვდნებოდი, როდესაც უსამართლობას ვხედავდი, სიბრაზით ვკანკალებდი რომელიმე უკანონო საქციელზე, ცეცხლივით ვენთებოდი ქვრივ-ოხრების დაწიოკებაზე და სოლო ხომ უფრო... ის ცეცხლი იყო, სწორედ ცეცხლი... ფშინავდა მისი გული, ენთებოდა მისი არსება, ამხნევებდა დაჩაგრულს და პირში ეძლეოდა დამჩაგვრელს. აი რა ზნეობითი ნასკვი იყო მიზეზი ჩვენის კავშირისა და მეგობრული განწყობილობისა.

×

ზამთრის სუსხიანი ღამეა... არა თოვლს, მაგრამ მყინვარე ზენა-ქარი კი ილაჯს უწყვეტავს კაცს: «ქარი ჰქრის, ქარი ღუღუნებს, მაღლა ჩარდახსა ჰბერავსო» და აყრის საშინელ ნამქერს სკოლის არე-მარეს... სოფელი ჩაკმენდილია... ქარი მეფობს და აქა-იქა თუ ისმის ძაღლების ღმუილი, მგლის სიახლოვისაგან გამოწვეული. სანათობელი არსიდან მოჩანს... ერთად-ერთ ჩემს ოთახში კაშკაშებს ლამფის შუქი და გარს მე და სოლო მოვსხდომივართ და ორივე რაღაც ღრმა ფიქრს გავუტაცნივართ.

მეტი არ არის და სხვ. და სხვ., მაგრამ კრებამ არ მოისმინა მისი გოდება, და რადგან ძალიან შეძლებული კაცი გამოდგა, პირველს კატეგორიაში მოამწყვდია.

**საზოგადოდ** კომისიისაგან წარდგენილი სიები კრებამ ასე შესცვალა: პირველ კატეგორიაში **72** კაცი იყო. ამათგან ორი მეორე კატეგ. გადაიყვანა კრებამ, ერთი მეოთხეში. მეორე კატეგორიაში იყო **93** კაცი, მათგან ექვსი მესამე კატეგორიაში გადაიყვანა, ერთი მეოთხეში; მესამეში იყო **185** კ.; მათგან **14** მეოთხეში გადაიყვანა, ერთი პირველში და ორი კი სრულებით გაანთავისუფლა; მეოთხეში იყო **208** კ., ამათგან ორი მესამეში გადაიყვანა, ორი მეორეში და **14** სრულიად გაანთავისუფლა. ამგვარად კომისიისაგან შემდგარი სიებით ჰგროვდებოდა **78750** მან., ეხლა კი გროვდება **76000** მან.

მასუკან კრებამ გაანაწილა **1500** მან., რომელიც შეხვდა თბილისის მაზრას კანცელიარიის შესანახავად საჭირო **4500** მანათიდამ.

ამ ფულის შესადგენად პირველ კატეგორიაში ჩაწერილთ უნდა გადაიხადონ **10** მან. წელიწადში, მეორეში—**5** მან., მესამეში—**2** მან. და **50** კაპ., და მეოთხეში **1** მან. **25** კ. რადგან ეს ფული სრულიად ვერ მოგროვდება, კრებამ გადასწყვიტა **1800** მანათის განაწილება და, თუ ფული დარჩება, საზოგადო კრების გადაწყვეტილებისამებრ უნდა იქმნას მოხმარებული. **საზოგადოდ** ყოველი გადაწყვეტილება კრებისა ერთხმად იყო მიღებული.

≈ **ჩვენ** გვატყობინებენ, რომ თბილისელს ყასბებს ერთი-ერთმანეთში მოულაპარაკნიათ და დაუწერიათ შეკრულობის ქაღალდი, რომლის ძალითაც ისინი პირობასა სდებენ, ალასრულონ ყოველივე, რასაც მათგანა თხოულობს ქალაქის გამგეობა, შესახებ სისუფთავისა და რიგიანი ვაჭრობისა.

**ჩვენ** მივიღეთ პატარა ბროშიურა მღვდელ-მონაზონის პოლიკარპესაგან შედგენილი **«წმიდა დავით გარეჯელის უდაბნო»**. ავტორი კარგის ენით აგვიწერს იმ უდაბნოს მდებარეობას, მონასტრის შენობებს, წარწერებს, მასში მოღვაწეთა ცხოვრების ამბავს და ლეგენდებს მათ შესახებ. ეს ბროშიურა სასიამოვნო წასაკითხავია.

≈ **სახელმწიფო** რჩევაში შეტანილია ამ ჟამად პროექტი შესახებ შაქრის ქარხნების გამართვისა კავკასიაში და თურქისტანში. **სხვათა** შორის, პროექტის აზრით საჭიროა გაიმართოს შაქრის ქარხანა ბაქოს გუბერნიაში, ლენქორანის მაზრაში, კასპიის ზღვის ნაპირის და სპარსეთის სამზღვრის შუა. ეს აზრი მოსწონებია სახელმწიფო რჩევას და დათანხმებულა კიდეც. ლენქორანის მაზრის ნიადაგი გამოკვლეულია და ცნობილია, რომ მასზე კარგად იხარებს საუკეთესო შაქრის ჯიში. ამბობენ, შაქრის ქარხნის გამართვას ამ წელსვე შეუდგებიანო. რუსეთელი კაპიტალისტების კომპანია, რომელსაც ამ საქმისათვის ხელი მოუკიდნია, არ ზოგავს ფულსა, ოღონდ წარმატებაში შეიყვანოს შაქრის წარმოება და სპარსეთიდგან ფრანცუზული შაქარი განდევნოს. ამასვე ცდილობს მმართებლობა, რომელსაც ჰსურს იმოდენი საქონელი გავიდეს რუსეთიდამ სპარსეთში, რამდენიც სპარსეთიდამ შემოდის. **1881** წელს სპარსეთიდამ რუსეთში შემოტანილ იქმნა **7** მილ. ფუთი საქონელი, მაშინ როდესაც რუსეთიდამ გატანილი იყო მხოლოდ **3** მილ. ფუთი.

≈ **პეტერბურგიდგან** ინგლისურს გაზეთს **«ტაიმსს»** სწერენ, რომ პროექტს შესახებ რკინის-გზის გაყვანისა ბაქოდამ რეშთამდე ნავთის გასატანად სპარსეთით სპარსეთის ყურემდე ისეთი მომხრეები მოუპოვებია, როგორნიც არიან გრაფი ლორის-მელიქოვი და თ. დონდუკოვ-კორსაკოვი. ამ პროექტს დანიშნულებად აქვს კავკასიური ნავთის ინდოეთში შეტანა. მაგრამ მინისტრი გირსი არ დასთანხმებია თურმე, რომ ნავთი ბაქოდამ სპარსეთის ყურამდე გატანილი იქმნას, რადგანაც, კორესპონდენტის სიტყვით, ინგლისს უიმისოდაც ძალიან სწყინს მერვის რუსეთთან შეერთება და ეს კიდევ უფრო არ ესიამოვნებაო. კორესპონდენტი ამბობს, რომ ამას გარდა აუარებელი სიმდიდრე ნავთის წყაროებისა კასპიის ზღვის ორთავე ნაპირებზე მოიწვევს რუსეთში კაპიტალებს და მუშა ხალხს ქვეყნის ყოველი მხრიდამ. რუსეთის მმართებლობას განძრახვა აქვსო ამ საქმეზე დაამყაროს მომავალში თვისი პოლიტიკური და კომერციული ძალა; ამისათვის იგი არა ჩქარობს ნავთის წყაროები გამოლიოს ნავთის სამზღვარ გარედ გატანითაო.

≈ თ. ლუკა ბებუთოვისაგან მივიღეთ ჩვენს შენიშვნაზედ შემდეგი წერილი:

«დროების» გაზეთში, № 60 არის გამოცხადებული, ვითომც ბ. ლ. ბებუთოვს დაუჭერია მარჯვე ადგილი ზომით 7 კვადრ. საჟ. დახურულ ბაზრის გასავალთან, თათრის მოედნის პირზე, სადაც ოთხი პაწაწა დუქანი გაუმართავს მას და ქირას იღებს. როდესაც ქალაქი გამოსდავებია, ბ. ბ—ვისთვის მიუზომნიათ ამოდენავე ადგილი მეორე კუთხეში სუბ-გუერქის კელდიასსიან იმ პირობით, რომ პირველი ადგილისაგან უნდა ხელი აელო, მაგრამ ახალი ადგილი ერთი სამადაც გაუდიდებია და არც პირველი ადგილისთვის დაუნებებია თავი.

რადგანაც ეს მოხსენებული ამბავი პირველ ასოების აზრით შეეხება მე, ლუკა ბებუთოვს, ამის მიზეზით და დასამტკიცებლად სიმართლისა გიტყვით, რომ ზემოხსენებული ამბავი სრულიად უსაფუძვლოდ არის აღწერილი; დამწერს არა სცოდნია გარემოება ამ საქმისა, რომელსაც საჭიროდ ვხედავ ავხსნა.

1831 წელსა მთავრობის განკარგულებით დააქციეს შვიდი დუქანი თათრის მოედანში აზნაურების აკიმოვებისა და ადგილი იმ დუქნებისა დარჩა სასარგებლოდ ქალაქისა. სამაგიეროდ ამ დუქნებისა და ადგილისა, თექვსმეტი წლის შემდეგ, განსვენებული ვორონცოვის განკარგულებით (ბძანება გუბერნატორთან 2-ს გიორგობის თვეს, 1847 წ. № 5711) მიეცა მემკვიდრეს აკიმოვისას—დარია ბებუთოვისას, შენობისათვის დაქცეული დუქნებისა და ადგილისა ცარიელი ადგილი თათრის მოედანში ზომით 16 კვადრ. საჟენი, რომელზედაც ამ ჟამად არის აშენებული დუქნები, და გარდა ამისა მიეცა იმავ ბძანებით საშვილიშვილოდ მეორე ადგილი იმავე მოედანში, ზომით $5\frac{1}{2}$ საჟ. წყაროს გარშემო, რომელიც შემდეგ დააქციეს განკარგულებით თვით ქალაქის გამგეობისა. თუმცა დარია ბებუთოვის შორის და ქალაქის გამგეობისა იყო დავა არა ხუთ საჟენ ნახევარზე, არამედ იმ ადგილზე, რაზედაც იდგა წყარო 7 არშ. და 88 ვერშოკი; მაგრამ ეს დავა დაბოლოვდა სასარგებლოდ დარია ბებუთოვისა სამსჯავრო პალატაში.»

---

**შეცდომათა გასწორება.** გუშინდელ ნომერში მოწინავე წერილის მესამე სვეტში დაბეჭდილია: «როგორ გაჰბედა «ბოსლეველმა» და სთქვა, რომ „მწყემსი" «დროების» და «ურმის» მავნე აზრებსა სდევნისო.» უნდა იყოს: «როგორ გაჰბედა «ბოსლეველმა და სთქვა, რომ გამოდის გაზეთი «მწყემსი» რომლის დანიშნულება და მიზანი იქნება ისა, რომ «დროებისა» და «ურმის» მავნე აზრები სდევნოსო.»

65 № ში სიღნაღიდგან მოწერილს კორესპონდენციაში სწერია: სარგებელი (300),—უნდა იყოს: სარგებელი ($30^0$).

62 №-ში ფელეტონში დაუბეჭდავი დარჩენილა შემდეგი: «თესლი უნდება ჭირნახულის ნახევარი ზომა: დღიურზე 5—8 ჩანახამდინ;

---

— არა, არა, **ნიკო!** უნდა ვუშველოთ რამე, უნდა. **ე**რთმა ქეციანმა ტურამ ასე როგორ უნდა ამოაგდოს სოფელი... **სიჩუმის** შემდეგ, დაიწყო **სოლომ.**

— **უ**ნდა, უნდა ვუშველოთ რამე, წაიბუტბუტე მეცა. **როგორ** არა სთქვას კაცმა—გუშინ ჩვენებიანთ **გიო** კინაღამ ცემით მოუკლავს, აქაო და რატომ ძღვენი არ მომიტანეო; **ნინიკას** გოგო გაუუპატიურებია და გაუუნამუსოებია.. **რათაო** ე, განა კანონი ნებას აძლევს?..: **მამა** ჩემი არ წამიწყდება—რომ მის მოქმედებას მე გადავყვლობები და აბა სცადოს «**უარის**» ალება! **ამ** ჩვენ მამასახლისზე ხომ უფრო ჯავრი მომდის... მე ოხერო, ვისაც აქ არ გესმის, სოფელმა მამასახლისად ამოირჩია—სოფლის სიხარულში და მწუხარებაში უნდა თანაზიარი იყოს, დღეს სოფლის თავი ეგ არის და სოფლის წინამძღოლობა მაგას ეკუთვნის და ეგ ურიის, ნაჭედი, დახე, რას გვიშვრება!... მე ამ **სოლოს** სიტყვებმა ძაან ამაღელვეს, თვალები ამინთეს და **სოლოც** ხომ სულ აინთო... **უ**ნდა, უნდა ვუშველოთ რამე სოფელს! **და** გადავწყვიტეთ—მე და **სოლოს** დაგვეწყო სოფლის ავი სულების მოგერება.

X

**კვირა** დღეა.. **ბლეხები** დილითვე იკრიფებიან სკოლაში. **კვირაობით** მორდილებს ვასწავლი **«წიგნს»** და ბევრი მუსტარიც მომდევს; ამ გარემოებისაგან ყოველთვის ალტაცებაში ვყოფილვარ, მაგრამ დღეს კი ბუნებაზე უფრო მოღრუბლული მე ვარ. **წინადვე** რაღასაცა გრძნობს ჩემი გული... **იგი** ბურუსით გარემოცულია...... **ვინც** მოსასვლელი იყო სკოლაში—მოვიდა კიდეცა. **ჩემი** სკოლის სტოლებს ამშვენებენ «**ტალიკ**ტალიკი» მოზდილი ბიჭები. **დაიწყო** სწავლა, მაგრამ ვაი ამ სწავლას: საზოგადო სიხარული, წიგნის კითხვა და ბაასი დღეს არ აღელვებენ ჩემს მეგობრებს. **მე** რაღაც შეწუხება მეტყობა მოქმედებაში და ჩემი მეგობრების მოუსვენარი მღელვარება ხომ მიკლავს გულს!

— არა, ი დინ-ძაღლი რას ჩამოგვეტერა, რასა?! **ღმერთმა** ხომ იცის, რომ მაგისთვის კეთილის მეტი არა დაგვიშავებია-რა... **აღელვებული** გულით წამოისროლა ეს სიტყვები მეტივე—**ანდრომ**.—**ეჰ**, შვილოსა!...

— **უ**ნდა, უნდა გვიშველო რამე, **ნიკო**, შენ, **კანონის** კაცი ხარ—შენი სიტყვა უფრო გავა, მინამ ჩვენი. **დღეს** შენი სამშობლო ეს სოფელია და საუკუნოდაც დაავალებ,, მომესმა აქეთ-იქით. **ამ** სიტყვებმა უფრო გამიძლიერეს ცეცხლი და ერთ გარემოებას რომ ხელი არ შეეშალა, სწორედ ავად შევიქნებოდი. **გარედ** კვილი მოგესმა.. **გამოცვივდით** და რა დაგვინახეთ! **ჩვენი** საყვარელი **სოლო** «სუდიას»-მამასახლისს გზირებით ჩაეგდოთ ხელში და დაეწყოთ ცემა. **თავი** რამდენგანმე გაეჩეხათ და სისხლი წურწურით ჩამოსდიოდა... **თოკითაც** შეებოჭათ. **ჩვენ** **სოლოსკენ** გავექანეთ. **საქმის** გარემოება უნდა შემეტყო, მაგრამ ვიღამ მაცალა—ჩემი მეგობრები მისცვივდენ **სოლოს** შემბოჭავებს და დაუწყეს ცემა; ცუდი საქმეც დაემართებოდათ, რომ არ გაქცეულიყვნენ.. **სოლო** ჩემს ოთახში წავიყვანე და მეგობრული მოვლა დავუწყე, და, როცა გული მოიბრუნა, მიამბო ჩხუბის მიზეზი: «მოხელეს გამოეგზავნა ეს სოფლის-მჭამლები **თ**ედორიანთ გოგოს მოსატაცებლად და კიდეც მოიტაცეს, მაგრამ დანიშნულ ადგილამდის კი ვერ მიიყვანეს. მე წინ დავხვდი და სულ «ვაი დედაო» ვაძახებინე.

**ესეთი** **სოლოს** თავ-გადასავალი მოედო მთელ სოფელს. **დღეს** **სოლოს** ყველა აქებს; ყველას უფრო უყვარს და, სადაც მიიხედავ, ამ გვარი ლექსებით ამკობენ **სოლოს**:

«**შ**ენი ჭირიმე ჭირშია,
კარგი ხარ კასაჭირშია,
ყარანიც მოიჩრდილებდა
**შ**ენი ულვაშის ძირშია».

(დასასრული ხვალ)

ამაზე სქლად დათესილი არ ვარგა. გრეჩიხისათვის პირველი პირობა ის არის, რომ მას ჰქონდეს საკმაო სითბო და სინათლე, მეტადრე ყვავილობის დროს.

## უცხოეთი

**იტალია.** ამ ერთის თვის წინად იტალიაში მოხდა სამინისტროს კრიზისი, რომელსაც სრულიად არავინ მოელოდა. თუმცა ორი კვირის წინად რომში გავრცელდა ხმები, რომ ხალხთა განათლების მინისტრი ბაკაჩელი იძულებული იქმნება სამსახურიდამ გამოვიდესო, მაგრამ მმართებლობის ორგანებმა გაამტყუნეს ეს ხმები და რამდენსამე ხანს შესწყდა ხალხში ამაზედ ლაპარაკი.

კრიზისი დაიწყო ამ სახით: ბაკაჩელიმ წარუდგინა პალატას უნივერსიტეტების შესახებ კანონ-პროექტი, რომელიც სრულიად გამოუცადეგია თურმე ზოგიერთა წვრილ უნივერსიტეტებში, რის გამოც იტალიელებს არ მოსწონებიათ იგი. პალატამ თუმცა მიიღო ეს პროექტი, მაგრამ ისე ძალიან შეუსწორებია, რომ ბაკაჩელისა ბევრი აღარა დარჩენილა-რა. ამასთანავე, როდესაც პალატას სჯა ჰქონდა ამ პროექტზე, ბაკაჩელს ბევრი მწარე და მკვახე სიტყვები გააგონეს თურმე დეპუტატებმა, რის გამოც იმან დამარცხებულად იცნა თავისი თავი და შეიტანა სამსახურიდამ დათხოვნის ქაღალდი. მაშინდელი მინისტრი-პრეზიდენტი დეპრეტისი დიდი მეგობარია ბაკაჩელისა და ძლიერაც თურმე უყვარს იგი. ამისა გამო, დეპრეტისმა იმისი მხარე დაიჭირა და გამოაცხადა, რომ, თუ ხალხთა განათლების მინისტრი თავს დაანებებს სამსახურსა, მაშინ მთელი კაბინეტი იძულებული შეიქმნება სამსახურიდგან გამოვიდესო. დეპრეტისს დიდი გავლენა თურმე აქვს მეფე ჰუმბერტზე და ამისათვის ხშირად ხმარობს ამ გვარს მუქარებს. ჰუმბერტი მართლაც ძალიან აფასებს და დიდს პატივსა სცემს ამ ნიჭიერს სახელმწიფო მოღვაწეს და ყველა იმის თხოვნას ასრულებს. როდესაც ბაკაჩელიმ სამსახურიდგან დათხოვნის ქაღალდი შეიტანა და მინისტრებმა რჩევა გამართეს ამ საგანზე, ამ დროს მივიდა რჩევაში მეფის ადიუტანტი და გამოუცხადა ჰუმბერტის სახელით, რომ დეპრეტისი «საჭიროა იტალიისთვის და ამისათვის ბაკაჩელი ჯერ-ჯერობით უნდა დარჩეს თავის თანამდებობაზედაო.» ამის შემდეგ, რასა თქმა უნდა, აღარ დაითხოვდენ ბაკაჩელს სამსახურიდგან და პალატაც იძულებული გახდა მიეღო ზემოხსენებული პროექტი იმ სახით, როგორც ვსთქვით. მაგრამ მოხდა კიდევ ორი შემთხვევა, რომელთაც სამინისტროს ბოლო მოუღეს. ერთი შემთხვევა ის იყო, რომ დეპრეტისი ავად გახდა და იძულებული შეიქმნა რამდენსამე ხანს თავი დაენებებინა საქმეებისთვის. იმას ნიკრისის ქარები აეშალა. ბაკაჩელი გათქმული ექიმი თურმე. ამისათვის დეპრეტისმა მოიხმო იგი თავისთან, დააწყებინა წამლობა და იმასაც აღარას აკეთებინებდა. ამ დროს ბევრი საქმე შეგროვდა, რომელთაც გარდაწყვეტა ეჭირვებოდა; ამასთანავე ბევრი ბოროტ-მოქმედება და უკანონობა აღმოჩნდა ადმინისტრატიულს ნაწილში, და ამ შემთხვევათ უფრო გააძლიერეს ხალხში უკმაყოფილება კაბინეტისადმი. ამას გარდა, იტალიელებს ძალიან უკვირთ მინისტრ-პრეზიდენტის ასეთი უცნაური მეგობრობა ბაკაჩელთან, რომელსაც ვერა აქვს კარგი სახელი და მისი წარსულიც ვერ არის ისე ნათელი, როგორც შეეფერება ამის თანამდებობის კაცს. ერთის სიტყვით, ბაკაჩელიმ ძალიან სახელი გაუტეხა, როგორც დეპრეტისსა, აგრეთვე მთლად იმის კაბინეტსაც. პალატამ დეპრეტისის ავად-მყოფობაში განიხილა ბაკაჩელის კანონ-პროექტი და ისეთი წინააღმდეგობა და სიმძულვარე გამოიჩინა კაბინეტისადმი, როგორსაც არც თვით დეპრეტისი და არც არავინ სხვა არ მოელოდა, თუმცა კი ყველამ იცოდა, რომ უკანასკნელ დროს საზოგადოება უკმაყოფილოდ იყო კაბინეტზე. დეპრეტისი, რასაკვირველია, ვერ დაესწრო კრებას, რომ დაეცვა თავის თავიც და ამხანაგებიც. ამით ისარგებლებს მარცხენა მხარემ და იმის მოთავეთ და ისე შეურყიეს სამინისტროს საძირკველი, რომ ერთი პატარა შემთხვევა-ღა იყო საკმაო, რომ კაბინეტი დაცემულიყო. ეს შემთხვევაც მალე მოხდა. ნეაპოლის მაზრის ერთ სოფელში ჟანდარმებმა დაიჭირეს ერთი კაცი, რომელსაც პირველნი ძალიან ბრიყვულად მოეპყრნენ თურმე. ამ შემთხვევამ გაზეთები ძალიან აალელვა და დაიწყეს ლაპარაკი, რომ «წვალებით გამოკითხვის დრო» დაგვიბრუნდა ისევაო. მაშინ ერთმა დეპუტატმა, კავალოტიმ კითხვა მისცა სამინისტროს — მართალია ეს ამბავი, თუ არაო? იუსტიციის მინისტრმა მოუხერხებლად და მოუსაზრებლივ მიუგო, რომ ტყუილიაო. ჟანდარმების მიერ ხსენებული კაცის წვალება ენახა დეპუტატს ფარინის, რომელსაც კავალოტიმ სთხოვა დაემტკიცებინა, რომ ეს ამბავი მართალია. ფარინიმ ლაპარაკის ნება ითხოვა; მაგრამ პალატის პრეზიდენტმა არ დართო ნება და მიზეზად ის გარემოება მოიყვანა, რომ პალატას ისედაც ბევრი საქმე აქვსო. ფარინიმ ამაზე პალატაში იჩივლა და პალატამ კი ნება მისცა ლაპარაკისა. რაც ფარინმა ილაპარაკა ამ საქმის შესახებ, ისე ეწინააღმდეგებოდა იუსტიციის მინისტრის ნალაპარაკევს, რომ პალატა საშინლად აღელდა. როდესაც ამაზედ ბასი გათავდა, პალატის პრეზიდენტმა მაშინათვე სამსახურიდგან დათხოვნის ქაღალდი შეიტანა; ამის საბუთად ის გარემოება მოჰყავდა, რომ პალატამ გამოიჩინა მისადმი ურწმუნოება, რადგანაც დეპუტატს ფარინის ნება მისცა ლაპარაკისო. პრეზიდენტი პატივცემულია ყველა დასებისაგან და ამისა გამო წამოუდგნენ რამდენიმე ორატორი, აქეს მისი მოქმედება და აგრძნობინეს, რომ პალატას იმის დათხოვნა კი არა, იუსტიციის მინისტრის დათხოვნა უნდოდა და ამისათვის მოიქცა ასეო. მასუკან პალატამ ერთ-ხმად გადასწყვიტა, რომ არ მიეღოთ პრეზიდენტის სამსახურიდგან დათხოვნის ქაღალდი; მაგრამ პრეზიდენტმა არა ქნა და ამის გამო შეუდგნენ ახალი პრეზიდენტის ამორჩევას. წარმოადგინეს კანდიდატები; მმართებლობის კანდიდატად იყო ხალხთა განათლების მინისტრად ნამყოფი კოპინო. დეპრეტისმა აშკარად აგრძნობინა პალატას, რომ თუ კოპინოს არ ამოირჩევთ, — ჩემდამი ურნდობლობის გამოცხადებად შევიცნობ. ამის გამო ყველას ეგონა, რომ კოპინოს არ ამოირჩევდენ, მაგრამ მაინც კიდევ ამოირჩიეს მხოლოდ ათის ხმის უმეტესობით. კოპინოს ძალიან ეწყინა, რომ ასე ცოტა ხმის უმეტესობით ამოირჩიეს იგი და მაშინათვე უარი გამოაცხადა პრეზიდენტობაზე. დეპრეტისიც დარწმუნდა, რომ იმის დიდება თან-და-თან ჰქრება პალატაში, იმის მოწინააღმდეგეთა დასი დღითი-დღე ძლიერდება და ცოტა ხანს უკან ვეღარ შეიძლებს მასთან ბრძოლას; ამისათვის იძულებული შეიქმნა იმასაც გაეგზავნა მეფისთვის სამსახურიდგან დათხოვნის ქაღალდი. სამი წელიწადია, რაც დეპრეტისი იტალიის მინისტრ-პრეზიდენტის თანამდებობაზე მოღვაწეობს და ისე ნიჭიერად, ისე სინდისიანად და პატიოსნურად ასრულებდა თავის მოვალეობას, რომ არამცთუ მეფისა, მთლად იტალიის ხალხის სიყვარული და პატივცემაც დაიმსახურა. მაგრამ საქმე იმ გვარად იყო დაყენებული, რომ იმის დარჩენა ამ თანამდებობაზე აღარ შეიძლებოდა; ამას თითონაც კარგად გრძნობდა. ეხლა ყველას ისა აქვს სალაპარაკოდ — თუ რა გზას დაადგება ახალი სამინისტრო და საზოგადოდ ყველანი იმ აზრისანი არიან, რომ დეპრეტისს ისე კარგად ჰქონდა შეგნებული იტალიის ინტერესები, რომ ახალს კაბინეტს ბევრი აღარა დასჭირდება-რა, თუ ამ ნიჭიერი მოღვაწისაგან გაკვალულს გზას მიჰყვებაო.

## სხვა-და-სხვა ამბები.

**200000 მანათის მომგები.** «Церковно-общественный Вѣстникъ»-ს სიტყვით, 200,000 მანათი მოუგია ვიტებსკის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველს დეკანოზს მ. ი. კრასავიცკის. ხსენებული გაზეთის კორესპონდენტის სიტყვით, ქალაქ ვიტებსკში ამ ჟამად სულ ამ შემთხვევაზედ-ღა აქვთ ყველას ლაპარაკი. დეკანოზი კრასავიცკი პირველად სემინარიის მასწავლებლად ყოფილა, მერე მომრიგებელ შუამავლად, შემდეგ მომრიგებელ მოსამართლეთა კრების თავ-მჯდომარედ და 1868 წ. გენერალ პოტაპოვს გამომძიებლად დაუნიშნავს იგი. ამის შემდეგ მალე დაუთხოვნიათ ამ თანამდებობიდგან მამა კრასავიცკი და მასუკან ვიტებსკის სობოროს მღვდლად კურთხეულა. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში სულ სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად იყო და ძალიან ღარიბად სცხოვრობდა თურმე.

—

**ცოცხლად დამარხული ქალი.** «ხარკოვის უწყებები» იწერებიან, რომ ტაგანროგში ამას წინად ერთი ლეტარგიულ ძილში მყოფი გასათხოვარი ქალი დაუმარხავთ. იმ ექიმს, რომელიც მასა სწამლობდა, ეჭვი შეუტანია იმის ნამდვილ სიკვდილზე და ტელეგრაფით შეუტყობინებია ერთი ხარკოვის პროფესორისთვის ავად-მყოფობისა და სიკვდილის ნიშნები. პროფესორს მოუწერია, რომ იმის ეჭვი მართალი უნდა იყოს და ამის გამო ექიმს 16 დღემდის არ დაუმარხვინებია; მე-17 დღეზედ კი დაუმარხავთ. მეორე დღეს სასაფლაოს ყარაულს მოსმენია საფლავიდგან ყვირილი; ამოუთხარეს თურმე საფლავი და ნახეს ქალი თუმცა მკვდარი, მაგრამ გადაბრუნებული.

—

**ვაჟია თუ ქალი?** პოლშაში, ამ მოკლე დროს, ძალიან საინტერესო საქმე აქვს თურმე გასარჩევად ერთის იქაურს ოლქის სასამართლოს. სოფელს ტოპოლიაში ერთი გლეხი შეცდომით, ნათლობის ქაღალდში, ქალად ჩაუწერია მღვდელსა და დაურქმევია სახელი ეკატერინე. ეს ვაჟი ეკატერინე თავისის პასპორტით სცხოვრებდა წყნარად და უვნებლად სოფელში, მანამ ჯვარის-წერა არ მოუნდა. აქედგან იწყობა მისი უბედურება: ქსენძმა-მღვდელმა უარი უთხრა ჯვარის წერაზე — «რა ვქნა, ორ ქალს ხომ ვერ დავწერ ერთმანეთზე ჯვარსაო!» გლეხი არწმუნებს, რომ მე ვაჟი ვარ და არა ქალიო, მაგრამ მღვდელი თავისას იძახის — «ქაღალდმა უფრო უკეთ იცისო.» გლეხმა ნახა, რომ მღვდელთან ვერას გახდებოდა და იჩივლა მომრიგებელ მოსამართლესთან, რომელმაც უთხრა, რომ მე არ შემიძლიან სახელისა და სქესის შეცდომით ჩაწერვის გამოცვლაო, და მანამ ქაღალდში გიწერია «ქალწული ეკატერინა», მანამ ქალწულ ეკატერინად უნდა იწოდებოდეო. გლეხმა ეს უცნაური საქმე ოლქის სასამართლოში გადიტანა, სადაც იმედი აქვს დაამტკიცოს, რომ ის ვაჟია და არა ქალი, როგორც ქსენძს ჩაუწერია შეცდომით.

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

25 მარტს.

**პეტერბურგი.** იმ კომისიამ, რომელსაც სამსჯავრო წესდებანი ერთ წიგნში უნდა მოექცია სახელად «სამსჯავრო წესდებანი იმპერატორის ალექსანდრე ნიკოლოზის ძისა», ამ დღეებში გაათავა თავისი შრომა. კომისია შეადგენს აგრეთვე გაგრძელებას ამ წიგნისას, რომელშიაც იქნება

მოქცეული უკანასკნელ მეფობის დროს გამოცემული კანონები.

ლონდონი. პროექტი კანონისა ამორჩევითს რეფორმაზე მიღებულ იქმნა საზოგადოებათა პალატის მიერ 340 ხმის უმეტესობით 210 ხმის წინააღმდეგ.

მადრიდი. უმაღლესმა სამსჯავრომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა უველა თხუთმეტს დამნაშავეს, საიდუმლო საზოგადოებაში «შავი ხელი» მონაწილეობის მიღებისათვის.

## «დროების» ფოსტა.

ბ. ყ—ნს. სიამოვნებით დავბეჭდავთ თქვენს თარგმანებს, თუ უფრო მნიშვნელობიან მოთხრობებს აირჩევთ. «მონპელიელი ექიმი» ამ მხრივ არ მოგვეწონა.

სიმ—ქამს. თქვენს ლექსს ვერ დავბეჭდავთ.

ი. კახელს. «ეკონომიური მდგომარეობა წინამხრის გლეხებისა»,—რედაქციის აზრით, უსათუო ციფრებზედ არ არის დამყარებული, ამიტომ ვერ დაიბეჭდება.

ს—ნს. ჩვენც გვესმის რამე ქვეყნიერობისა და «Новости»-ებსაც ვკითხულობთ და, იქნება გაბედულობაც თქვენზედ ნაკლები არ გვქონდეს, მაგრამ ისიც ვიცით, რაც თქვენ, გეტყობათ, არ გაგხსენებიათ წერილის დაწერის დროს... ტელეფონი რომ იყოს აქედამ პეტერბურღამდე, ტელეფონით გეტყოდით.

# განცხადებანი

### ქუთაისის ქალაქის გამგეობა

აქით საზოგადოდ აცხადებს, რომ ხუთს მომავალს აპრილს არის ქალაქის გამგეობაში დანიშნული ვაჭრობა იჯარით გაცემისა სამის წლის ვადით განსაკუთრებითი ვაჭრობის ნებისა სხვა-და-სხვა მდინეულის წყლებისა ქუთაისის ბულვარის კიოსკში. (3—2)

### ინგლისური რკინის კრავოტები



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-ით უფრო იაფად, იდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაის და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფადნოსი, დასადგმელი, პირისსაბანი, სტაქნები, სუფრაჯნიკი, საწყაოები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარბიცის საფენები, უნაგირები კაცისა და ქალისა, აღვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბავო მაკრატლები, კაქსები, უთოები, წისქვილები, ხურხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიჟები, ზარბაიდები, კაპსიულები, ხაფანგები, ნიჩბები, კატერპრუფები, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიტონები და სხ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156, 157, 158, 159 და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—89)

სამკურნალოში, რომელიც თბილისიმოქალაქეთ დაარსეს სახსოვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავად-მყოფნი მის იღებიან დილის 9 საათიდგან 1 საათამდინ.

უოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: არუთინოვი—9 საათიდამ 10 საათამდინ შიგნეულ ავადმყოფობათა წამლობისათვის, ალიხანოვი და ლისიცევი—10 საათიდგან 11-დე შიგნეულ ავადმყოფობის წამლობისთვის, ექიმი-ქალი პოტაპოვისა—11 საათიდამ 12-დე დედა-კაცების და ბავშვების ავად-მყოფობის წამლობისთვის; შტემბორსკი—12 საათიდამ 1-მდე ხირურგიული, სიფილისის და სხეულზე გამოყრილი მუწუკების წამლობისთვის.

ამას გარდა: ბორალევიჩი ორშაბათობით—10 საათიდამ 11-მდე შიგნეულ ავად-მყოფობის წამლობისთვის; მინევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9 საათიდამ 10-მდე ხირურგიული ავადმყოფობის წამლობისთვის; რეიხი სამშაბათობით და შაბათობით 10 საათიდამ 11-მდე თვალის ავად-მყოფობის წამლობისთვის; ზაბაევი სამშაბათობით და შაბათობით $11^1/_2$ საათიდამ $12^1/_2$-ამდე შიგნეულ და ნერვების ავად-მყოფობის წამლობისთვის; იანკოვსკი სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11 საათიდამ 12 საათამდე შიგნეული ავადმყოფობის და სიფილისის წამლობისთვის; კრასნოგლიადოვი—ოთხშაბათობით და პარასკევობით 10 საათიდამ 11-მდე შიგნეული ავად-მყოფობისა წამლობისთვის.

კბილის ავადმყოფობის ექიმი პოლიფზონი უოველს დროს მიიღებს თავის სახლში ღარიბ ავად-მყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბარათი ექნებათ.

# ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— „ |
| — — 1—80 | — — 2—50 |
| საუკეთესო 2— „ | — — 3— „ |

იქვე იყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრავოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი — სულ უველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოსწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—4)

«ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების» მმართველობა სთხოვს საზოგადოების დამფუძნებელთა და ნამდვილ წევრთ წარმოგზავნონ ხვედრი საწევრო ფული წარსულის 1883 წლისა პირველთ 20 მან. და მეორეთ — ექვსი მანათი ან საზოგადოების ხაზინადარის ბ-ნ გ. დ. ქართველიშვილის სახელობაზე (Михаиловская улица, собственный домъ), ან საზოგადოებისავე სამწერლოში (Симонсоновская улица, за 1-ою Классическою Гимназіею, подъ редакціею газ. «Дроэба»). (10—10)

ი ნ გ ლ ი ს ი ს  მ ა ღ ა ზ ი ა შ ი

## თმის-ამომყვანი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს. ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

(100—10)



## მაკ-მასტერი

აქვე იყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სიროტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

ს ა გ ლ ო ბ უ ს ო  კ ა ლ მ ე ბ ი

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდი. ერთად-ერთი საავენტო—ინგლისის მაღაზია. იქვე აუარებელი სხვა-და-სხვა გვარის კალმები უოველის „ხელისათვის"—25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტსიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლების საწმედად (ბორაკსი), თეთრეულისათვის, პატარა ხალხისათვის კლიონკები. ტაზტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეზმენი, ზარები, ზინოკლები რულეტკები, კატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწკვები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტულები. საყელური, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შროტკები თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საქქიმო ქაღალდი კატერ-კლოზეტისათვის და სხვ. ა სხვ.

პატაუკი—20 კ. (100—69)

### მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 მარტიდამ 1 აპრილამდე 1884 წ.

გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა— —1 გირ. 5 კ.

აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— —1 გ. 3 კ.

მეორისა — — —1 გ. $2^1/_2$

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 | გ. | 5 კ. |
| მეორისა | —1 | გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა | —1 | გ. | 3 კ. |

ქვარის-მამის პური:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 5 კ. |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 4 კ. |
| მესამისა | —1 | გ. | $3^1/_2$ |

ძროხის ხორცი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 | გ. | 9 კ. |
| მეორის | —1 | გ. | 8 კ. |
| სუკი | —1 | გ. | 16 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 10 კ. |

ღორის ღორცი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 | გ. | — კ. |
| მეორის | —1 | გ. | — კ. |

### რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით.
თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილისა.
(სამშაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. ღამ.)
ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკ.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილისა.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილისა.
ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამისა.
მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილისა.
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. დილისა.
(პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

Дозв. цензур. Тифлисъ, 28 Марта 1884 г. (მ. ხელაძის სტამბა) Типографія Е. Хеладзе). გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.